1964/წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 26 (259) 21 დეკემბერი 1964 წელი

## შინაარსი


### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

457. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ა. თოვმასიანის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
458. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ი. ს. შჩერბაკოვის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

459. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. ზაგლადას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
460. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
461. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. პუზინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
462. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რეჟისორ ი. მ. თუმანოვისათვის (თუმანიშვილისათვის) სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
463. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენის ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტ ნ. მ. ოვანისიანისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
464. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ დიჟონის მერის ფ. კირის (საფრანგეთი) სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
465. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ე. ლუკიჩის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ლივიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალემ ბენ ლამინმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ბურუნდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ანტუან ნტაოკაჟამ.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილების შესახებ.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

466. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ჭოჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

467. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

468. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ფალავანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**457** **ს. ა. თოვმასიანის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს სურენ აკოფის ძე თოვმასიანი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 სექტემბერი.
№ 2840-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**458** **ი. ს. შჩერბაკოვის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ილია სერგის ძე შჩერბაკოვი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 სექტემბერი.
№ 2841-VI.

9362.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**459** **ამხ. ნ. გ. ზაგლადას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად გაწეული მრავალი წლის მუშაობისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების აქტიურად დანერგვისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლური ამხ. ნადეჟდა გრიგოლის ასული **ზაგლადა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 სექტემბერი.
№ 2844-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 460 გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმის გამო, რომ მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა, რათა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საბრძოლველად დაერაზმა სოფლის მშრომელები, ფართო პროპაგანდას უწევდა მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, შეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით **გაზეთი „სელსკაია ჟიზნი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 სექტემბერი.
№ 2845-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 461 ამხ. ა. ა. პუზინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალექსი ალექსანდრეს ძე **პუზინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 სექტემბერი.
№ 2848-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 462 რეჟისორ ი. მ. თუმანოვისათვის (თუმანიშვილისათვის) სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის რეჟისორ იოსებ მიხეილის ძე **თუმანოვს (თუმანიშვილს)** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.*
*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.*

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 სექტემბერი.
№ 2849-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 463 ლენინის ორდენის ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტ ნ. მ. ოვანისიანისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა საოპერო ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის ლენინის ორდენის ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს ნარ მიხეილის ძე **ოვანისიანს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.*
*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.*

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 სექტემბერი.
№ 2850-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 464 ქალაქ დიჟონის მერის ფ. კირის (საფრანგეთი) სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა და ფრანგი ხალხების საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ფრანგი მოქალაქე, ქალაქ დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონის მერი კანონიკი ფელიქს კირი დაჯილდოვდეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 სექტემბერი.

№ 2851-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 465 ამხ. ლ. ე. ლუკიჩის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დნეპრისპირეთის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე ეფიმის ძე **ლუკიჩი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 სექტემბერი.

№ 2852-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ლივიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალემ ბენ ლამინმა

31 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა კრემლში მიიღო ლივიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში სალემ ბენ ლამინი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდა საელჩოს მეორე მდივანი ხ. ო. ელ ხერიკი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების გამგე დ. პ. პოჟიდაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ე. კალნბერზინსა და სალემ ბენ ლამინს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ს. გ. ლაპინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ბურუნდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ანტუან ნტაოკაჟამ

2 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა კრემლში მიიღო ბურუნდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ანტუან ნტაოკაჟა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მდივნები ა. მელი და კ. სამბირა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მეორე განყოფილების გამგე მ. დ. სიტენკო და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ე. კალნბერზინსა და ანტუან ნტაოკაჟას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ს. გ. ლაპინმა.

## ც ნ ო ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

1964 წლის 30 აგვისტოს გაიმართა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები კარელიის ასსრ ონეგის № 465 საარჩევნო ოლქში და მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის მთიანი ალტაის № 601 საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

ონეგის № 465 საარჩევნო ოლქში — ამხ. ანდრია პეტრეს ძე **კუზმინი**, პეტროზავოდსკის საბინაო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ოსტატი;

მთიანი ალტაის № 601 საარჩევნო ოლქში — ამხ. ნიკოლოზ სიმონის ძე **ლაზებნი**, სკკპ მთიანი ალტაის ოლქკომის პირველი მდივანი.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### რ ს ფ ს რ

**კუიბიშევის ოლქის ქალაქ სტავროპოლის გადარქმევა ქალაქ ტოლიატად.**

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა კუიბიშევის ოლქის ქალაქ სტავროპოლის მშრომელთა სურვილი და იტალიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მეგობრის პალმირო ტოლიატის ხსოვნის უკვდავსაყოფად 1964 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით კუიბიშევის ოლქის ქალაქ სტავროპოლს ეწოდა ქალაქი **ტოლიატი**.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 466 ამხ. ა. მ. ჭოჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით ამხ. ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 10 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 467 საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის** საპატიო წოდება:

1. მაქსიმე ვალერიანეს ძე **კალინოვსკის** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
2. ბორის ვლადიმერის ძე **კრუკოვსკის** — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს.
3. გრიგოლ სიმონის ძე **მირონოვს** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
4. პეტრე ევდოკიმეს ძე **ფინჩენკოს** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
5. გიორგი ნიკოლოზის ძე **ქისტაურს** — სამედიცინო სამსახურის მაიორს.
6. გიორგი გალაქტიონის ძე **ქორიძეს** — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გრიგოლ შერმანდის ძე **ჯიბლაძეს** — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 10 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 468 ამხ. ვ. ი. ფალავანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ვასილ ილიას ძე **ფალავანდიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 10 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

## დაიბეჭდა რუსულ ენაზე და იყიდება

# სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის

# სტენოგრაფიული ანგარიში

**(1964 წლის 13-15 ივლისი)**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დანართში ქვეყნდება კანონი სსრ კავშირისა კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ; კანონი სსრ კავშირისა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას; დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესითა და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით; დადგენილებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გათავისუფლების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიქოიანის არჩევისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ; კანონები სსრ კავშირისა და დადგენილებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პალატათა დადგენილებები.

**წიგნის ფასი 80 კაპიკა.**

**იყიდება წიგნის მაღაზიებში.**